დანართი 1

მრავალწლოვანი კულტურების ბაღის გაშენებისათვის განკუთვნილი მიწის ნაკვეთის წყლით უზრუნველყოფის განსაზღვრის კრიტერიუმები და მეთოდოლოგია

მრავალწლოვანი კულტურების ბაღის გაშენებისთვის განკუთვნილი მიწის ნაკვეთი უზრუნველყოფილი უნდა იყოს პერმანენტული საირიგაციო წყლის შესაბამისი წყაროთი, რაც გამოიხატება:

მიწის ნაკვეთი უზრუნველყოფილი უნდა იყოს სარწყავი წყლის მიწოდების წყაროთი, რაც გამოიხატება შემდეგნაირად:

მიწის ნაკვეთის გარე პერიმეტრიდან მაქსიმუმ 500 მეტრის დაშორებით უნდა არსებობდეს სარწყავი წყლის მიწოდების შემდეგი წყაროებიდან ერთ-ერთი მაინც:

- ტბა ან წყალსაცავი;
- მდინარე;
- მდინარიდან გამოსული სარწყავი არხი (არხის გამოყენება უნდა იყოს განხორციელებული ბოლო 1 წლის განმავლობაში);
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ირიგაციის პროგრამის ფარგლებში ახლად აღდგენილი მაგისტრალური სარწყავი არხი, ან მიწის ნაკვეთის ტერიტორიაზე არსებული ჭა ან ჭაბურღილი;
- საქართველოს მელიორაციის სააგენტოსთან გაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც უზრუნველყოფს წყლის უწყვეტ მიწოდებას სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში.

მიწის ნაკვეთის წყლით უზრუნველყოფის შემოწმების მეთოდოლოგია:

- ტბა, მდინარე ან მდინარის არხი უნდა მდებარეობდეს მიწის ნაკვეთის გარე პერიმეტრიდან მაქსიმუმ 500 მეტრის დაშორებით. ამასთან, მიწის ნაკვეთიდან ტბამდე, მდინარემდე ან მდინარის არხამდე არ უნდა ფიქსირდებოდეს რაიმე მნიშვნელოვანი დაბრკოლება, რომელიც ხელს შეუშლის ნაკვეთის წყლით უზრუნველყოფას (მაგ.: გზატკეცილი — ქვედა წყალგამტარი არხის ან გვირაბის გარეშე; მთა; მიწაყრილი).
- სიტუაციურ ნახაზზე უნდა იყოს დატანილი წყლის მოძრაობის მარშრუტი წყაროდან ნაკვეთამდე.
- იმ შემთხვევაში, თუ მიწის ნაკვეთის წყლით უზრუნველყოფა დაგეგმილია ჭის ან ჭაბურღილის საშუალებით, შემოწმების მომენტისთვის წყლის მოცულობა ჭაში უნდა შეადგენდეს არანაკლებ 6 $მ^3$-ს, ხოლო ჭაბურღილი უნდა იყოს მოქმედი — ანუ მისგან უნდა ხდებოდეს წყლის ამოტუმბვა. ჭაბურღილის წყლის დებეტი უნდა შეესაბამებოდეს მოცემული კულტურისა და ბაღის ფართობისთვის საჭირო საირიგაციო წყლის მოცულობას, ხოლო დამატებითი მოთხოვნის შემთხვევაში — უზრუნველყოფილი უნდა იყოს წყლის დაგროვებითი რეზერვუარის მოწყობის შესაძლებლობით.